ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2365070

ნომერი: AR1367147

თარიღი : 28.12.2015

გაცემის თარიღი : 29.12.2015

გაცნობის თარიღი : 30.12.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი , მიკრო/რაიონი "ა" / ქალაქი თბილისი , ქუჩა შეშელიძე , N 124 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი გოგოხია პ/ნ 62006054878
- უნივერსიტეტის 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 09 ივნისის #1944970 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 28

დეკემბერს #AR1367147 განცხადებით მომართა ირაკლი გოგოხიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2015 წლის 09 ივნისის #1944970 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 09 ივნისის #1944970 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, მიკრო/რაიონი ,,ა" / ქ. თბილისში, შეშელიძის ქუჩა #124–ში შპს გიგანტი-94–ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სავაჭრო ცენტრის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 09 ივნისიდან 2016 წლის 09 ივნისის ჩათვლით.

სამსახურის 2015 წლის 09 ივნისის #1944970 ბრძანებაში დამკვეთად მითითებულია შპს გიგანტი-94. საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის: #882015155194, მომზადების თარიღი: 26/03/2015 წ., ს/კ: #01.11.12.018.173) შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს გიგანტი-94, რომლის დირექტორს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის: #B15139831; მომზადების თარიღი: 01/07/2015 წ.; ს/კ: #209437180) თანახმად, წარმოადგენს ირაკლი ხონელიძე. სამსახურში წარმოდგენილ იქნა მინდობილობა (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: #150289992, რეგისტრაციის თარიღი: 25.03.2015 წ.), რომლის შესაბამისად, შპს გიგანტი-94–ის დირექტორი ირაკლი ხონელიძე ირაკლი გოგოხიას უფლებას აძლევს იყოს მისი, როგორც შპს გიგანტი-94–ის დირექტორის წარმომადგენელი სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2015 წლის 09 ივნისის #1944970 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ, კომერციულ ფართობად 2664.6 კვ.მ–ის ნაცვლად 2665.1 კვ.მ–ის დაფიქსირებას, რაც თავის მხრივ იწვევს საერთო ფართობის ცვლილებას და 2664.6 კვ.მ–ის ნაცვლად შეადგენს 2665.1 კვ.მ–ს.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 09 ივნისის #1944970 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 09 ივნისის #1944970 ბრძანებაში, კერძოდ: კომერციულ ფართობად დაფიქსირდეს 2665.1 კვ.მ., საერთო ფართობად 2665.1 კვ.მ.;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 09 ივნისის #1944970 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.